გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №126

2022 წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 განთავსებული №02 შენობიდან 12,00 კვ.მ–ის ფ/პ ელენე გიუნაშვილისთვის პ/ნ 59001003156 პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მოქ. ელენე გიუნაშვილის განცხადება (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N19202208361-20 24.03.2022წ.), რომელშიც მოთხოვნილია იჯარის გაგრძელება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ფლავში მდებარე ს/კ 66.48.04.047 უძრავ ქონებაზე (შენობა N02, ფართობი: 12 კვ.მ).

ელენე გიუნაშვილს იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 განთავსებული №02 შენობიდან 12,00 კვ.მ. ფართობი, სადაც მოწყობილი ჰქონდა სალონი. მოიჯარე პირნათლად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და დავალიანება არ ჰქონია.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2022 წლის 23 მაისის N166-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 (დაზუსტებული ფართობით - 1934.00 კვ.მ) განთავსებული შენობა ნაგებობა N2 დან 12 კვ.მ, (მისამართი:გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლავი) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 2,200.00 (ორი ათასორასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, მისი დროებითი გაცემა იჯარის ფორმით, ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 განთავსებული №02 შენობიდან 12,00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ელენე გიუნაშვილისთვის პ/ნ 59001003156 გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს ელენე გიუნაშვილს პ/ნ 59001003156 გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფლავში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 განთავსებული №02 შენობიდან 12,00 კვ.მ. ფართი (სალონის მოსაწყობად).
2. მიწის ნაკვეთზე ს/კ 66.48.04.047 განთავსებული №02 შენობიდან 12,00 კვ.მ. ფართის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვროს 2 200 (ორიათას ორასი) ლარით.
3. ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 240 (ორასორმოცი) ლარით.
4. მოიჯარემ უზრუნველყოს ქონების მოვლა პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა). ასევე, უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების გადახდა.
5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებდიან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).
6. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.
7. ,,მოიჯარეს'' ხელშეკრულების საგანი გადაეცემა სალონის მოსაწყობად.
8. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
9. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე